ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 11

20 14 წ. "27" 06

ქ.თბილისი

შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა - ლიცეუმის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა - ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212917174) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 398-ით.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 27 ივნისის №4 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ცირეკიძე

მდივანი
ნატო ქობულაძე